პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით
შაბათი, 18 ოქტომბერი 1924 წ.
წელიწადი მეოთხე
ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელი ყაზარმა

№ 627 1 და 2 ქ. მ. დ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი
რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა საველე ელ. 16
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც. ნომპარელის სტრიქონი
სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

წამოდით წითელ ყაზარმისაკენ სიხარულით.

როდესაც ნიკოლოზ მეორე ჯარში მორიგ გაწვევებს ახდენდა ხოლმე, ხალხი ცხარე ცრემლით სტიროდა.

რატომ?

იმიტომ რომ ნიკოლოზ მეორის მთავრობა მდიდრების, მღვდლების და ბერების დამცველი იყო. მიწები მემამულეების ხელში იყო. გლეხი იძულებული იყო მისულიყო მემამულესთან, დილიდან საღამომდე ემუშავნა, მოეყვანა აუარებელი ჭირნახული; შემოდგომაზე გასტენიდა მემამულის ნალიას და ბეღელს. თითონ კი პირში ჩალა გამოვლებული დარჩებოდა.

რატომ ხდებოდა ეს ასე?

ასე იმიტომ ხდებოდა, რომ ნიკოლოზის კანონი ასეთი იყო. შენ გლეხი ხარ უნდა იმუშავო, ის თავადია და უნდა სჭამოსო.

და ასეც იყო. გლეხი მუშაობდა, თავადი სჭამდა.

გლეხობას არ მოსწონდა ეს.

ამბოხებაში და ბატონების გალახვაში გამოხატავდენ თავიანთ უკმაყოფილებას.

მაგრამ ვაი მათი ბრალი.

გამოაგზავნიდა მეფე ჯარს და ხალხს სულ ხიშტებზე ააცვამდენ; კონდახებით დაუმტვრევდენ გვერდის წკნელებს.

ქალაქის მუშის მდგომარეობა სოფლის გლეხობაზე უარესი იყო. რვა საათის სამუშაო დღე მეფის დროს არც ერთ წარმოებაში არ ტარდებოდა. მზე ამოვიდოდა, ქარხანაში უნდა ყოფილიყავ და როცა ძალიან დაბნელდებოდა, ბნელ სარდაფში უნდა წასულიყავ. მუშების ბინებზე მაშინ ლაპარაკს არავინ კადრულობდა.

გაფიცვას თუ მოაწყობდენ აქაც თოფი და მისი კონდახი.

ყოველ წლიურად იწვევდა მეფე ჯარში ახალგაზრდებს.

ყოველ წლიურად ძლიერდებოდა მისი შეიარაღებული ძალა. მაშასადამე ძლიერდებოდენ მემამულეები და მდიდრები. ხალხი გრძნობდა ამას და ამიტომაც ტირილ-ყვირილით შეხვდებოდა ხოლმე ჯარში გაწვევას.

დღეს საქმე სულ სხვანაირ ყაიდაზე არის მოწყობილი. სახელმწიფოს სათავეში ნიკოლოზი კი არ არის, მუშებისაგან და გლეხებისაგან არჩეული ხალხია.

მუშებს და ღარიბ გლეხებს როგორც სურთ ისე შეუძლიათ თავის საქმის გაკეთება. ვინც გინდა იმას აირჩევ საბჭოებში. ვისაც გინდა მას მიანდობ საკუთარი სახელმწიფოს საქმის მართვას.

დღევანდელმა მთავრობამ მოსპო აზნაურების და თავადების ბატონობა. მემამულეებს ჩამოართვა მიწები და ხელმოკლე გლეხებს დაურიგა. დღევანდელ მთავრობას გაყავს შარა გზები, აკეთებს ხიდებს, აგებს სკოლებს და სხვა და სხვა. ფაბრიკა-ქარხნები დღეს მდიდარს აღარ ეკუთნის. იგი სახელმწიფოს, ე. ი. მთელი ხალხის ქონებას შეადგენს.

ყველგან შემოღებულია 8 საათის სამუშაო დღე.

ერთი სიტყვით დღეს ბატონობს მუშა და უღარიბესი გლეხი. ამიტომ ჩვენს მთავრობას მუშურ-გლეხური მთავრობა ქვია.

თავადები, აზნაურები და მემამულეები უკმაყოფილონი არიან ამ ამბებით. მათ სურთ კვლავ უკან მიიღონ მიწები; ძველებურად ამუშაონ მასზე გლეხი და ჭირნახული კი თითონ წაიღონ. ამისათვის არავითარ ღონისძიებას არ ერიდებიან ისინი. ჩვენ რომ სუსტნი ვიყვეთ მოვლენ და აგვიგებენ წესს.

საჭიროა ყოველთვის მზად ვიყვეთ მტრის სათანადოთ შესახვედრად.

საჭიროა ვიცოდეთ იარაღის ხმარება.

ამიტომ გვიწვევენ წითელ ჯარში. იქ შეგვასწავლიან წერა-კითხვას; გაგვაცნობენ თუ რა ხდება ქვეყნიერებაზე;

გავათავებთ ვადას და უკანვე დავბრუნდებით ისე, როგორც ჩვენებური ყმაწვილები დაბრუნდენ ეხლახან.

არც ერთი კაცი არ უნდა დაემალოს წითელ ჯარს.

წითელი ყაზარმა შვილივით გველის ჩვენ.

საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასკომის სესიის გახსნა.

გუშინ 17 ოქტომბერს კრემლის სასახლეში გაიხსნა საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასკომის მეორე სესია. მოსკოვში ჩამოვიდენ ცენტრალური აღმასკომის ყველა წევრები, რომლებიც მუშაობდენ ადგილებში.

დღის წესრიგი.

საბჭოთა კავშირის ცაკის სესიის დღის წესრიგში შედიან შემდეგი საკითხები: საბჭოთა კავშირის სავაჭრო და საფინანსო პოლიტიკის შესახებ, მოსავლის შედეგები, სისხლის სამართლის სასამართლოების საფუძვლების შესახებ, საკავშირო მოქალაქეობის შესახებ, საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის, საბაჟო კოდექსის შესახებ და სხვა.

რადიო-დეპეშები.

საბჭოთა კავშირი და ჩინეთი.

„საუკეთესო თავდები საბჭოთა საელჩოს უზრუნველყოფისა-ეს არის წითელი დროშა“.

იმ ხმების გამო, რომ ვითომდა კარახანს საიდუმლო ხელშეკრულება დაედოს პეკინის დიპლომატიურ კორპუსთან საელჩოს შენობის ჩაბარების შესახებ, „ანტი იმპერიალისტურმა ლიგამ“ მიმართა კარახანს თხოვნით აეხსნას ეს მდგომარეობა.

კარახანმა განაცხადა:

„საელჩოს შენობა მიიღო სრულუფლებიანმა წარმომადგენლობამ ყოველ გვარ პირობის გარეშე.

რაც შეეხება საელჩოს შენობის დაცვას წითელ-არმიელების მიერ, მე ამის შესახებ ველაპარაკე ამერიკის წარმომადგენელს შერმანს, რომ ჩვენ მზგავსად სხვა ქვეყნებისა არ შემოგვყავს ჩვენი ჯარები რაიმე მიზნით.

ჩვენ სტუმრები და მეგობრები ვართ ჩინეთის ხალხის; ჩვენ არ გვსურს თავი დავიცოთ ჩინეთის ხალხისაგან ხიშტებით. საუკეთესო ფარი და უზრუნველყოფის თავდები არის ის დროშა, რომელიც ფრიალებს საელჩოს თავზე. და ეს ფარი უკეთესი დამცველია, ვინემ მაღალი ქვის კედელი ზარბაზნებითა და ტყვიამფრქვევებით.

გარწმუნებთ, რომ საბჭოთა საელჩო არ დაიყენებს თავდაცვისათვის ჯარებს, თუ ჩინეთის მთავრობა არ მოისურვებს მოგვცეს ჩვენ ასეთი მცველები ჩინეთის ჯარისკაცებისაგან“.

საბჭოთა კავშირი ჩინეთის მეგობარია.

ჩინეთის მუშების, პროფესიონალურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციების მთელმა წყებამ მიიღეს რეზოლიუციები, რომლებიც გამოსთქვამენ მხურვალე იმედს, რომ ჩინეთი და საბჭოთა კავშირი გააგრძელებენ თანამშრომლობას ჩაგრული ერების გათავისუფლების საქმეში, და აღფრთოვანებული არიან საბჭოთა გემის „ვოროვსკი“-ს მისვლით კანტონში.

ესტონეთ-რუსეთის სავაჭრო პალატა.

გაიხსნა რუსეთ-ესტონეთის სავაჭრო პალატა. გახსნას დაესწრო 100-მდე წარმომადგენელი.

პრეზიდიუმის საპატიო წევრებად არჩეული არიან კრასინი და ესტონეთის ფინანსთა მინისტრი რანდმანი. პალატის თავმჯდომარედ არჩეულია პიატო.

საარჩევნო კამპანია ინგლისში.

კომუნისტური პარტიის პროგრამა.

კომპარტიის საარჩევნო მანიფესტში ნათქვამია, რომ მომავალი არჩევნები იქნება მუშათა კლასის ბრძოლა კაპიტალისტების წინააღმდეგ.

ქვევით ნათქვამია, რომ მუშათა მთავრობა უნდა ეძებდეს დახმარებას არა პარლამენტში, არამედ მუშათა მასიურ ორგანიზაციებში.

მუშებს ესაჭიროებათ კლასიური პროგრამა, რისთვისაც კომპარტია აყენებს პროგრამას შემდეგი კატეგორიული მოთხოვნილებით.

მაღაროების, რკინის გზების და მსხვილი მრეწველობის ნაციონალიზაცია; სახელმწიფო კანტროლი საგარეო ვაჭრობაზე; ბანკების ნაციონალიზაცია; კაპიტალის დაბეგვრა; 44 საათი სამუშაო კვირა; უმუშევართა დახმარება პროფკავშირთა ტარიფის მიხედვით; უფასო უმაღლესი და საშუალო განათლება: პოლიტიკური უფლებების მინიჭება მეზღვაურებზე, ჯარისკაცებზე და მფრინავებზე.

საგარეო და კოლონიალურ პოლიტიკაში.

ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულების დამტკიცება, საბჭოთა კავშირზე სესხის მიცემა 100 მილიონ გირვანქა სტერლინგის რაოდენობით: მუშათა ელჩის გაგზავნა მოსკოვში; დოუესის გეგმისა და ვერსალის ხელშეკრულების უარყოფა; რეპარაციებისა და სამხედრო ვალების გაუქმება: ბრიტანეთის ჯარების გაყვანა გერმანიიდან; ყველა ქვეყნების კონფერენციის მოწვევა საერთო განიარაღების განხორციელების მიზნით; ირლანდიის, ინდოეთის, ეგვიპტის, მესოპოტამიის, ბირმის, ცეილონის და სუდანის დამოუკიდებლობის გამოცხადება; აგრეთვე ჯარების გაყვანა ხსენებულ ქვეყნებიდან.

სამოქალაქო ომი ჩინეთში

სამხრეთის ფრონტი უკვე აღარ არის.

შანხაის ახლოს არსებული ყველა ფორტები და იარაღის საწყობი დაიკავა პეკინის ჯარებმა. სამხრეთის ფრონტი მოისპო. პეკინის მთავრობამ გაგზავნა გემები გენერალ ლუ იუნგ-საინის შესაპყრობად, მაგრამ უკანასკნელმა თავი შეაფარა ნაგასაკის.

შან-ხაი-გუანის ახლოს.

შან-ხაი-გუანის ახლოს სასტიკი ბრძოლაა. ორივე მხრით დიდი მსხვერპლია.

იაპონია-ჩინეთის ინციდენტი.

იაპონიამ გაგზავნა ლეიტენანტი ჩინეთის პოზიციების დასათვალიერებლად. ჩინელებმა დაიჭირეს ლეიტენანტი, მაგრამ იაპონიის ძალთა ჩარევის გამო ის განთავისუფლებულ იქნა. ჩინეთის გენერალურმა შტაბმა განაცხადა, რომ ასეთი შემთხვევა თუ განმეორდა, იაპონიის ოფიცრები დახვრეტილ იქნებიანო.

ამაზე იაპონიამ განაცხადა, რომ მას აქვს უფლება დაიცვას რკინის გზა და დაათვალიეროს პოზიციები მის ზონაშიო.

იაპონიის პრესა სასტიკად ეხება უ-პეი-ფუს და ჩინეთის მთავრობას და აცხადებს, რომ „იაპონიის მთავრობის მოთმინება აივსოო“.

ბესარაბიაში.

რუმინეთის ჯარების გადაჯგუფება.

ბესარაბიაში ხდება რუმინეთის ჯარების გადაჯგუფება. სანაპირო ქალაქები და სოფლები სავსეა რუმინეთის ჯარებით.

ადგილობრივი მცხოვრებლები იხიზნებიან გუბერნიის შორეულ კუთხეებში.

რუმინეთის პრესა აღნიშნავს, რომ ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილი სიმპატიით უყურებდა საბჭოთა კავშირს, ნაწილი კი ამ სიმპატიას არ ამჟღავნებდა, მაგრამ მტრულად უყურებდა რუმინეთს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლონეთი.

საშიშარი ზრდა.

ამ სათაურით „ეხო ვარშავსკოში მოთავსებულია წერილი, რომელშიაც ავტორი ჯამს უკეთებს ბანდიტურ გამოსვლებს სხვა და სხვა ქალაქებში.

ოფიციალური ცნობა განაპირა ადგილების დამშვიდების შესახებ არ არის მართალი. მსხვილი გამოსვლები მართლაც შეწყდა, მაგრამ ბანდიტების სამოქმედო რაიონი სამჩნევად გაფართოვდა. განაპირა ადგილებში თითქმის ყოველ დღე ხდება თავდასხმა პოლიციასა და მემამულეებზე.

მუშათა მოძრაობა

ბორინაჟში გრძელდება გაფიცვები.

მიუხედავად რეფორმისტული პროფკავშირების ცდებისა ბელგიის მემაღაროეთა ნაწილი უარს აცხადებს მუშაობის დაწყებაზე.

ჟანდარმებთან შეტაკების დროს მოკლულ იქნა ერთი მუშა. დასაფლავებას დაესწრო 25000 კაცზე მეტი. დაესწრო აგრეთვე დელეგაცია ფრანგ მუშებიდან.

საერთაშორისო მუშათა დამხმარე საზოგადოება დახმარებას უწევს გაფიცულებს.

მოწოდება გაერთიანებისთვის.

სამთო-მადნო მუშათა ცენტრალურმა ბიურომ მიმართა მუშათა საერთაშორისო ფედერაციას. ბიურო აცხადებს, რომ მხოლოდ გაერთიანებით შეიძლება სამთო-მადნო პროლეტარიატის ინტერესების დაცვა კაპიტალიზმის მუხრუჭისაგან.

საფრანგეთის სახელმწიფო მოსამსახურეების გაფიცვის შესახებ.

საფრანგეთის მთავრობის კომისიამ ერიოს თავმჯდომარეობით შესაძლებლად სცნო მიიღოს სამუშაო ხელფასის ცხრილი, რომელშიაც უმცირესი ტარიფი იქნება 6.000 ხოლო უმაღლესი—40.000 ფრანკი.

რევოლიუციონური მოძრაობა.

გეჯასში.

ვახაბიტებმა აიღეს მექა.

ცენტრალური ხალიფატის აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ინგლისის, როგორც სხვა არა მუსულმანურ ერის ინტერვენცია ისლამის ტაძრების დასაცავად დაუშვებელია.

აღმასკომი ყველას საყურადღებოდ აცხადებს, რომ ინდოეთისა და სხვა ქვეყნების მუსულმანები ყოველგვარ ზომებს მიიღებენ, რათა არ ჩაერიოს ვინმე გეჯასის საქმეებში.

რეზოლიუცია აფრთხილებს ინგლისის მთავრობას თავი შეიკავოს ყოველგვარ მოქმედებისაგან, როგორც მუსულმანთა შეხედულებით, თუნდაც ჩარევის მხოლოდ ცდებს წარმოადგენდეს.

მაროკოში.

მობილიზაცია.

ესპანეთმა გამოაცხადა სათადარიგო სამხედრო მოსამსახურეების მობილიზაცია რომლებიც გაგზავნილ იქნებიან მაროკოში.

ესპანეთის ჯარის რიცხვი მაროკოში აღწევს ერთ მილიონამდე.

მალინოვსკის მკვლელების გასამართლება.

15 ოქტომბრის სხდომაზე სასამართლოში წაკითხულ იქნა მუშკორთა დეპეშები სარაპულიდან, ბელაცკადან და ტფილისიდან; დეპეშები მოითხოვენ პრესის მუშაკის მკვლელთა სასტიკად დასჯას. შემდეგ მიდის დაკითხვა. მალინოვსკის ბიძის ანდრია მალინოვსკის ჩვენებიდან სჩანს, რომ მას ეხლაც კი ეშინია სოფლის ყოვლად შემძლე ძალების, როცა ისინი ბრალდებულის სკამებზე სხედან.

მოწმე ამბობს, რომ მიცვალებული მალინოვსკი მხარს უჭერდა ღარიბებსო. მისი სიტყვით ანდრია მალინოვსკი (მკვლელი) მეტად წყნარი და მშვიდობიანი კაცია, „ქათმისაც კი ეშინოდაო“—დასძენს. მოწმე ამტკიცებს პაპანდოპულოსა და ივანოვის მექრთამეობას.

საბჭოთა ფედერაციაში

საკავშირო თათბირი საკოოპერაციო განათლების შესახებ.

15 ოქტომბერს მოსკოვში გაიხსნა 1-ლი საკავშირო თათბირი საკოოპერაციო განათლების შესახებ.

რკპ-ს საბჭოთა უჯრედების მდივანთა თათბირი.

ხსენებულ თათბირზე ბაზანოვმა აღნიშნა, რომ მოსკოვის საკანტროლო კომისიამ გადასინჯვის დროს შედარებით სუსტი აღმოჩნდა სამეურნეო უჯრედები.

გადასინჯვამ დიდი დადებითი შედეგები მოიტანა უჯრედების ცუდი მხარეების თავიდან აშორების საქმეში.

მარტი ლენინგრადში.

17 ოქტომბერს ლენინგრადში მივიდა საფრანგეთის გამოჩენილი კომუნისტი მარტი, რომელიც დიდის ზეიმით მიიღეს. მან ინახულა კრონშტადტი, სადაც დაათვალიერა ბალტიის ფლოტის გემები.

წითელ დირექტორთა საგუბერნიო ყრილობა.

ხარკოვში გაიხსნა წითელ დირექტორთა პირველი საგუბერნიო ყრილობა. ყრილობის მიზანია ზომების გამომუშავება მრეწველობის აღორძინებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის საქმეში.

გლეხთა თათბირი.

რკპ-ს ველიჟსკის სამაზრო კომიტეტი იწვევს ორ ოლქში მოწინავე გლეხობის თათბირს. თათბირზე გარჩეულ იქნება საკითხები სოფლის მეურნეობისა და საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესების შესახებ.

მიწის ძვრა.

13 ოქტომბერს ტაშკენტში ძლიერი მიწის ძვრა მოხდა, რომელიც გაგრძელდა რამოდენიმე წუთი.

17 ოქტომბერს ტოლბუხინოს რაიონში ადგილი ჰქონდა მიწის ძვრას მიწის სიღრმიდან (ვერტიკალურად). ზარალი არ მოყოლია. ეს მეორეჯერ მოხდა ამ ზაფხულის განმავლობაში.

ქარიშხალი.

ამ უკანასკნელ დღეებში შავ ზღვაზე ძლიერი ქარიშხალი მძინვარებდა, რომელმაც 14 ოქტომბერს უმაღლეს სიძლიერეს მიაღწია.

გემები არ გამოდიოდენ ნავთსადგურიდან.

ბრძოლა წყალდიდობასთან.

ჰიდრო-ტეხნიკურმა ბიურომ დაადგინა შეუდგენ ტეხნიკურ საშუალებათა შედგენას, რათა შესუსტებულ იქნას ნევას წყალდიდობის ძალა.

ადგილობრივი ცნობები.

საქართველო.

გლეხკომები.

სვირის რაიონის გლეხკომების მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს. ადგილობრივი გლეხობა დიდის ნდობით უყურებს მას.

ფონდის გასაძლიერებლად თვითდაბეგვრის გზით შეკრებილ იქნა სულ მოკლე დროში 1392 ვედრო ღვინო და 1722 ფუთი სიმინდი.

აფხაზეთი.

ჩაის წარმოების სააქციონერო საზოგადოება.

შედგა კომისია საქართველოს სამიწადმოქმედო კომისარიატის მონაწილეობით, რომელმაც უნდა განსაზღვროს აფხაზეთში ჩაის მოსაყვანად ვარგებული რაიონები და შეადგინოს ფინანსიურ—სამრეწველო გეგმა 5 წლით.



ამხანაგი მარტი

საბჭოთა კავშირის სტუმარი.

ამხ. მარტი ამ ჟამად საფრანგეთის პარლამენტის კომუნისტურ ფრაქციის ბელადთაგანია. ის ერთი უსაშინელესთაგანი მტერია საფრანგეთის ბურჟუაზიის, რომელსაც სამაგიეროდ ყველაზე უფრო სძულს ამხ. მარტი. ბურჟუაზიის სიძულვილი ამხ. მარტიმ სამართლიანად დაიმსახურა. ფრანგულ იმპერიალიზმის ყველა ყაჩაღური ზრახვანი ამხ. მარტიმ ყველა შესაძლებელ საშუალებით ამხილა თავის დროზე და პროლეტარიატის ენერგიულ ჩარევით არ მისცა ნება საფრანგეთის ბურჟუაზიას თავის ზრახვების შესრულებისა. ამხ. მარტი მოსკოვის მუშათა და გლეხთა საბჭოს საპატიო წევრად ითვლება იმ დამსახურებისათვის, რომელიც მიუძღვის მას საბჭოთა კავშირის წინაშე. 19 წელს, როდესაც დენიკინის ბანდები იწევდენ მოსკოვისაკენ, მათ დასახმარებლად ინგლისის და საფრანგეთის იმპერიალისტებმა გამოგზავნეს შეიარაღებული ძალები. ამხ. მარტი მსახურობდა საფრანგეთის ერთ-ერთ კრეისერზე (სამხედრო გემი), რომელიც იდგა ოდესის ნავთსადგურში. აქ მან ამხ. ბადენასთან ერთად საფრანგეთის მატროსებს და ჯარის კაცთა შორის გააჩაღა კომუნისტური აგიტაცია, რასაც შედეგად მოყვა ის, რომ ჯარის კაცებმა უარი სთქვეს რუსეთის პროლეტარიატის წინააღმდეგ გალაშქრებაზე და მატროსებს შორის კი დაირღვა სამხედრო დისციპლინა. ფრანგები იძულებული შეიქნა გამოეყვანა რიგიდან გემი, როგორც ბრძოლის უნარ დაკარგული.

ზღვაში მარტი შეიპყრეს და გამოგზავნეს ფრანგულ კატორღაში, კუნძულ კალედონიაზე, საიდანაც ის დაბრუნებული იქმნა მხოლოდ საერთაშორისო და საფრანგეთის პროლეტარიატის დაჟინებითი მოთხოვნის შემდეგ. ეხლა ის მოპატიჟებით ესტუმრა საბჭოთა კავშირს. საფრანგეთში დაბრუნებისას ის შესძლებს იმ ჭორების და ცილის წამების გაქარწყლებას, რომელსაც ასე უხვად და უსირცხვილოდ ავრცელებენ საბჭოთა კავშირზე პროლეტარიატის მტრები.

ნ.

ანატოლი ფრანსის გარდაცვალების შესახებ.

საფრანგეთის გამოჩენილი მწერლის, **ანატოლი ფრანსის** დასაფლავება მოხდება დღეს, 18 ოქტომბერს. დასაფლავებაზე მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკის პრეზიდენტი და მთავრობის ყველა წევრები.

მუშათა საერთაშორისო დამხმარე კომიტეტის თანაგრძნობა.

მუშათა საერთაშორისო დამხმარე კომიტეტმა გაუგზავნა ანატოლი ფრანსის ოჯახს შემდეგი დეპეშა: რუსეთის საერთაშორისო მუშათა დამხმარე კომიტეტი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს ანატოლი ფრანსის გარდაცვალების გამო, რომელიც დიადი მეგობარი იყო რუსეთის ხალხისა და საერთაშორისო მუშათა კლასისა.

უცხოეთის ფირმების წარმომადგენლები.

სოხუმში ჩამოვიდენ სამხრეთ-სლავიისა და ავსტრიის სააქციონერო საზოგადოებათა წარმომადგენლები, რომლებმაც უნდა გამოიკვლიონ ტყის დამზადების შესაძლებლობა აფხაზეთში საზღვარ გარედ გატანის მიზნით.

რადიო ყოველ მხრიდან

საფრანგეთი და ამერიკა.

ამერიკის ბანკირთა უღელ ქვეშ.

საფრანგეთის საზოგადოებრივი წრეები დიდ უსიამოვნობას გამოსთქვამენ საფრანგეთის დღევანდელ ფინანსიურ მდგომარეობის შესახებ და წინააღმდეგი არიან ახალი სესხისა ამერიკის ბანკირებისაგან-.

მარსელ კაშენი „იუმანიტე“-ში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თითქმის ბურჟუაზიული წარმომადგენლებიც კი გამოტყდენ, რომ საფრანგეთი, როგორც ამას წინასწარმეტყველობდენ კომუნისტები, ამერიკის ბანკირთა უღელ ქვეშ იმყოფებიანო.

ჩვენს წითელ კარში

ახალი მეთაურები ჩვენც გვეწვიენ.

ჩვენს ცალკე საკავშირო ასეულსაც ეწვიენ ახალი წითელი მეთაურები. ამხანაგების მოსვლამ დიდი სიხარული გამოიწვია მთელ ასეულში, მით უმეტეს, რომ ჩვენთან გვარიანი ნაკლებობა იყო მეთაურების მხრივ.

ამხანაგები ამ მოკლე ხანში შეუდგებიან თავის მოვალეობას ასეულების ახალწვეულებთან მეცადინეობით.

ხშირად შევიკრიბებით ხოლმე წითელ არმიელები, ჩაგვერევიან ახალი მეთაურები და გაცხოველდება საუბარი სხვა და სხვა საჭირბოროტო საკითხების გარშემო.

ამხანაგები არ იშურებენ ენერგიას და უნდათ მთელი თავისი ცოდნა—გამოცდილება გადმოგვცენ.

ერთმანეთთან დამოკიდებულება პირდაპირ სამაგალითოა. ჩვენ დარწმუნებული ვართ ახალი მეთაურები გაამართლებენ მუშათა და გლეხთა ხელისუფლების იმედებს.

ამის თავდებია მათი ენერგიული საქმიანობა ჩვენთან. გაუმარჯოს მათ.

სამხკორი: **შალაშინი.**

ვინ არის დამნაშავე?

რამოდენიმე წ. არმიელები მივლინებული ვართ პირველ ლეგიონიდან სამხედრო სტამბაში, რისთვისაც გადარიცხულ ვიქენით მესამე ასეულში და იქიდან უნდა მიგველო ყოველგვარი კმაყოფა.

რადგანაც სრულიად მოცლა არა გვაქვს, გამზადებული სადილებით ასეულიდან ვერ ვსარგებლობდით, ამისათვის ვითხოვეთ ხელზე მოგვცათ ჩვენი ხვედრი ულუფა. დივიზიამაც ნება დაგვრთო და სათანადო მოწერილობაც გაგვატანა 1-ლ ლეგიონის სამნეო ნაწილში.

მოწერილობა გადავეცით დანიშნულებისამებრ და ჩვენც ველოდით სურსათის მიღებას მესამე ასეულიდან, მაგრამ სურსათი დღესაც არ მიგვიღია და არც ვიცით როდის მივიღებთ.

ჩვენთვის საჭირო იყო სექტემბრის სურსათი სექტემბერშივე მიგველო და არა ოქტომბერში (შეიძლება სულაც ვერ მივიღოთ).

ჩვენ არ ვიცით ვინ არის დამნაშავე, მაგრამ ეს კი ცხადია, რომ ჩვენ არავითარი დანაშაული არ მიგვიძღვის, რომ სურსათს არ გვაძლევენ.

საჭიროა ყურადღება ვისგანაც ჯერარს, რათა მოგვეცეს ჩვენი კუთვნილი სურსათი სექტემბრის თუთხმეტიდან.

ბ. შ—ძე.

რა მოუვიდა ჩვენს კედლის გაზეთს?

უკვე ერთი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენმა კედლის გაზეთმა მიიძინა. ერთი თვე გავიდა რაც ჩვენს ლაზარეთში აღარ გამოუკრავთ ჩვენი „წითელი სანიტარი" რას მივაწეროთ ეს მოვლენა?

აუცილებლად ახლად გადმოყვანილ კლუბის გამგის დაუინტერესებლობას, რაც იქედანაც სჩანს, რომ სლულიად არ გვიკეთებს ამხ. არხუდაროვი მოხსენებებს.

საკლუბო მუშაობა თითქმის ჩაკვდა. აღარ მოქმედებენ პოლიტიკური და კულტურული წრეები, რაც ძლიერ ცუდათ მოქმედებს ჩვენს წითელ არმიელებზე.

ძველი კლუბის გამგე ასე არ იქცეოდა. ის მოსვლის თანავე შეუდგა მუშაობას. დაარსა სხვა და სხვა წრეები და წითელ არმიელებსაც ხშირად გვიკეთებდა მოხსენებებს ამათუ იმ საკითხებზე. ხშირად მართავდა ჩვენთან უბრალო ამხანაგურ საუბრებს, რაც ძლიერ გვაინტერესებდა.

კედლის გაზეთი მის დროს გამოდიოდა სისტემატიურად. ეხლა კი... საჭიროა მუშაობის გაჩაღება. კლუბის გამგევ, უნდა ამოქმედდე და გამოასწორო კედლის გაზეთის საქმე.

წითელ არმიელი.

მე-5-ე ლეგიონში.

არ იქმნა და არა ჩვენი ლეგიონის ყარაულის თავის დროზედ განრინება. ყველა თავისთვის ბუტბუტებს და ხმის ამოღება კი, როგორც ეტყობათ, ჩვენს მეთაურებს ეძნელებათ. უნდა ავღნიშნო, რომ განრინება ხდება საღამოს 6 საათზე და ხშირად ყოფილა შემთხვევა, რომ განრინებას დაუგვიანებია 7—8 და საათამდე.

რაშია საქმე? ნუ თუ ეს ასე უნდა მოხდეს? მორიგე ახალი მეთაური ვერ სცნობს მის წინ მწყობრში მდგომ არამც თუ წითელ არმიელებს, არამედ დარაჯის უფროსებსაც, რომლებსაც დიდი საპასუხისმგებლო მოვალეობა აწევთ.

საგარნიზონო სამსახურის წესდების მიხედვით, მორიგე მეთაურმა და ყველა ყარაულში დანიშნულ წითელ არმიელებმა და დარაჯის უფროსებმა, ერთმანეთი უნდა იცნონ სახეზე. მაგრამ შეიძლება თუ არა ღამის წყვდიადში, რომ ერთმანეთი გაარჩიონ-იცნონ? მორიგე მეთაური ვის აძლევს გასანდოს, დარაჯის უფროსებს თუ სხვა ვისმეს არ იცის. ეს ყოვლად დაუშვებელია, რაც ერთხელ და სამუდამოდ უნდა გამოსწორდეს.

ღამე განრინების დანიშვნა ყოვლად დაუშვებელია.

სამხკორი: **ჯავახელი**

ეს რა გაჩნდა?

ეს რა უბედურება გაჩნდა? ასე გაიძახის ყველა, ვინც კი სოფელ წყნეთის მიმართულებით მოგზაურობს და გვერდს აუვლის უმფროს მეთაურთა სკოლას.

აგერ სამი თვე იქნება, რაც ჩვენი სკოლის პირდაპირ, ვაკეში, გაჩნდა ჭაობი—ტბა. მართალია ეს ტბა იმდენად დიდი არ არის, მაგრამ ვაკეში, სადაც ციება ისედაც ფეხმოკიდებულია, მას დიდი ზიანის მოტანა შეუძლია.

სკოლასთან იქვე ახლო გაჩენილია კიდევ მეორე უფრო მოზრდილი ტბა.

ცხადია ჭაობი აყროლდება შემდეგში და ადგილობრივ მცხოვრებლებს ცუდი საქმე მოელით.

ჩვენმა სკოლამ სცადა აღნიშნული ჭაობების მოსპობა, მაგრამ ცდამ უშედეგოთ ჩაიარა.

პირველად კურსანტებმა მოინდომეს ტბის ქვებით ამოვსება, მაგრამ ეს ხერხი არ გამოდგა, შემდეგ არხი გაუთხარეს წყალს, არც ეს შეიქნა მიზანშეწონილი.

საჭიროა ყურადღება მიექცეს ამ მოვლენას ვისგანაც ჯერ არს და ჩვენ სკოლის კურსანტებიც არ დავიშურებთ ამისთვის ჩვენს ძალლონეს. თორემ, როდესაც ჭაობი უფრო გადიდდება მეტი ხარჯები დასჭირდება მის ამოშრობას, ვინემ ამჟამად.

სამხკორი: **ჭ. ასათიანი.**

სამნეო ნაწილის უფროსის საყურადღებოდ.

მეხუთე ლეგიონის ზოგიერთი ასეული ჯერაც შეუვსებელია წითელ არმიელებით.

ერთ ასეთ ასეულთაგანს ეკუთვნის მეორე ასეული, რომელშიაც ვირიცხებით მხოლოდ ძველი წითელ არმიელები (უნცროსი მეთაურები).

ჩვენი მდგომარეობა მეტად ცუდია. ზოგ ჩვენთაგანს ჯერაც არ მიუღია მაზარა და სხვა ტანისამოსი, მიუხედავათ იმისა, რომ ყველა ასეულებმა მაისშივე მიიღეს.

არა ერთხელ მივმართეთ ასეულის თავს, რომ გამოეწერათ ჩვენთვის ტანისამოსი. მაგრამ ის გვეუბნება, მივმართავ მნესო და ასე დაპირებაში გადის დრო... ჩვენ კი ისევ ისე ვრჩებით.

ჩვენ არ ვიცით თუ რას ეუბნება მნე ასეულის უფროსს, მაგრამ ის კი ცხადია, რომ უკვე 6 თვეა, რაც ტანისამოსი არ მიგვიღია და არც არავინ ფიქრობს ამის შესახებ.

ბოლოს მივმართეთ მნეს და ვთხოვეთ კეთილი ენებებია და მოეცა ჩვენი ხვედრი ტანისამოსი. ამ უკანასკნელმა გვიპასუხა: „თქვენ პირველ ასეულში ხართ გადარიცხული და იმ ასეულის უფროსმა უნდა გამოგიწეროთო".

პირველმა ასეულმა კი უარით გამოგვისტუმრა, რადგანაც იქ არ ვყოფილვართ გადარიცხული.



ამის შემდეგ უბრუნდებით ისევ მეორე ასეულის უფროსს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ ასეულში დღეს ერთი უფროსია, ხვალ მეორე და სხვა, რაც ერთობ აგვიანებს ისედაც დაგვიანებულ საქმეს.

მოვითხოვთ ვისგანაც ჯერ არს, ან დაგვირიგონ ტანისამოსი და ან გადაგვრიცხონ პირველ ასეულში, რომ იქ მაინც გვეღირსოს მისი მიღება.

ასეთი გულგრილობა დაუშვებელია.

ნეტავ როდემდის გასტანს ასე? სამნეო ნაწილის უფროსო, ყურადღებაა საჭირო.

მატიანე.

საკლუბო მუშაობისათვის.

16 ოქტომბერს, წითელ არმიელთა ცენტრალურ კლუბში შესდგა თბილისში მდგომ ქართულ ნაწილების კლუბის უფროსების, ორგანიზატორების და წრეების ხელმძღვანელთა თათბირი.

თათბირი გახსნა საკლუბო სექციის ინსტუქტორმა ამხ. წვენიევმა, სადაც განხილულ იქმნა ორი ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი:

1). ოქტომბრის დღესასწაულის ჩატარება კლუბებში და 2) ახალწვეულების შეხვედრა.

პირველი საკითხის შესახებ წაკითხულ და განხილულ იქმნა კავკასიის არმიის პოლიტ-სამმართველოდან გადმოგზავნილი გეგმა.

თათბირმა დაავალა კლუბის უფროსებს მოიწვიონ საკლუბო საბჭოების სხდომები და გამოიმუშავონ დღესასწაულის ჩატარების წესი.

რაც შეეხება მეორე საკითხს, თათბირმა საჭიროთ სცნო გაფართოებული და გალამაზებული იქნეს ლენინის კუთხეები და კლუბის შენობები ახალწვეულთა სათანადოთ დასახვედრათ.

საკარანტინო დროის მუშაობა განხილულ იქნება მეორე სხდომაზე.

საჭიროა და ფრიად სასარგებლო იქნება კლუბის მუშაკებისათვის, რომ ასეთი თათბირი მოწვეულ იქნებოდეს არა მარტო მაშინ, როდესაც მას მოითხოვს რაიმე საჭიროება, არამედ მიეცეს მათ სისტემატიური ხასიათი. საკითხები ბლომათაა, ბევრ კლუბის მუშაკს დაგროვილი აქვს მასალა საკლუბო მუშაობის შესახებ, თავისი დაკვირვებანი, გამოცდილება და სხვა.

საჭიროა, რომ ყველა ეს გაუზიარონ ერთი მეორეს, გაეცნონ სხვა კლუბების მუშაობას. ეს დიდ სარგებლობას მოუტანს საკლუბო საქმეს და წინ წასწევენ მას.

ელეაზარ.

ჩვენი შემოქმედებანი.

„ტალა" (პირველ დივიზიის პირველ ლეგიონის ყოველკვირეული კედლის გაზეთი).

გაზეთი დიდი ფორმატისაა, ნაწერი გარკვეული ხელით და ადვილად გასაგებია, რაც ძლიერ იზიდავს მკითხველებს.

წერილები, საგრძნობლად მოკლეები და ბლომადაა, რაც სავსებით აკმაყოფილებს კედლის გაზეთის მოთხოვნილებას.

გამოცემულია 1-ლი ინტერნაციონალის 60 წლის თავის აღსანიშნავად.

მეორე წერილი დეზინტერიის შესახებაა, შემდეგი წერილები ასეულების და საერთოდ ლეგიონის ცხოვრებიდანაა და სხვა და სხვა კითხვებს ეხება.

გაზეთის მეოთხედი (ქვედა ნაწილი) სამხედრო ქიმიაზეა და შესაფერისი ცოდნითაა და ყურადღებითაა დაწერილი; ასეთი წერილები გაზ. „წითელ არმიელშიც" რომ გადმოგზავნონ დასაბეჭდათ, კარგს იზამენ.

გაზეთი დასურათებულია და იუმორში მრავალი საგულისხმიერო კარიკატურები—მღვდლებზე, ბურჟუაზიაზე და სხვა.

აკლია პოეზია, მხატვრული პროზა და სურათების ფერადი საღებავებით შესრულება, რაც უკეთესი იქნებოდა, რომ ყოფილიყო, და სხვა; საგულისხმიერო განყოფილებები.

ჩვენ ვიცით, რომ პირველ ლეგიონს კარგი წარსული, ტრადიცია აქვს ასეთი გამომცემლობისა და კარგს იზამდა სარედაქციო კოლეგიას განეგრძო კვლავ ნაცადი გზით.

დარწმუნებული ვარ ამას პირველ ლეგიონში შესძლებენ, რადგან საკმაოდ მოეპოებათ საამისო კულტურული ძალები.

სანი.

პარტიული ცხოვრება.

მეექვსე ლეგიონი.

11 ოქტომბერს მოწვეული იქნა მეექვსე ლეგიონის მესამე კომუჯრედის ღია კრება, რომელსაც დაესწრენ მრავალი უპარტიო ამხანაგებიც.

დღის წესრიგში შემდეგი საკითხები იყო:

1) ჩინეთის ამბებზე მოხსენება.

2) შეფობა და მისი მნიშვნელობა.

3) წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის მნიშვნელობა და მიმდინარე საკითხები.

ჩინეთის ამბების შესახებ ილაპარაკა ამხანაგმა სიხარულიძემ.

ამხანაგი დაწვრილებით შეეხო ჩინეთის მშრომელი ხალხის უმწეო მდგომარეობას და მათ ბრძოლას კაპიტალისტების წინააღმდეგ. მან აღნიშნა აგრეთვე ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ხელშეკრულების დადების შესახებ.

კომუჯრედის ღია კრება ძლიერ დააკმაყოფილა ამხანაგის მოხსენებამ.

შეფობის მნიშვნელობაზე ილაპარაკა ამხ. მელაძემ.

ამხ. თავის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა თუ რაში უნდა გამოიხატოს ჩვენი შეფობა გლეხობაზე, როგორი და რით შეგვიძლია გაუწიოთ მათ დახმარება და სხვა. ამხ. მელაძე აცნობს კრებას, რომ მესამე კომუჯრედს განზრახული აქვს შეფად გაუხდეს ერთ რომელიმე ღარიბ სოფელს. ამით ჩვენ შევსძლებთ მჭიდრო კავშირში შევიდეთ გლეხობასთან და განვახორციელოთ უდიდესი ჩვენი ბელადის ლენინის ანდერძი.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ მოკლე სიტყვით გამოვიდა ამხ. კობზიანიძე, რომელმაც აღნიშნა თუ როგორი ყურადღებით ეპყრობა ამ საქმეს მუშათა მთავრობა წითელ ჯარში.

მოხსენება მიღებული იქნა ცნობად.

მიმდინარე საკითხებიდან გაირჩა პარტიაში შემავალთა ანკეტები.

მათ შორის მიღებული იქნენ პარტიაში ოთხი წითელ არმიელი.

გოგია ჭალელი.

სამნეო გუნდი.

13 ოქტომბერს შესდგა პირველ ლეგიონის სამნეო გუნდისა და საარტილერიო პარკის კომუჯრედის ღია კრება.

დაესწრენ უპარტიო წითელ არმიელებიც.

კრებამ პირველად დაამტკიცა წარსული კრების ოქმი, შემდეგ ქართველ მენშევიკების მოღვაწეობაზე დასავლეთ ევროპაში მოხსენება გააკეთა ამხ. რუსიეშვილმა.

მან დაწვრილებით გააცნო ამხანაგებს მათი მოღვაწეობა და მიზანი.

ამავე თემაზე ილაპარაკა ამხ. ძაგანიამ, რის შემდეგ კრებამ გამოიტანა შესაფერისი რეზოლიუცია.

შემდეგ ინფორმაციული მოხსენებით გამოვიდა საკანტროლო კომისიის თავმჯდომარე ამხ. მარლიშვილი კომისიის მუშაობის შესახებ, რაც კრებამ დამაკმაყოფილებლად ჩასთვალა.

შემდეგ ჩვეულებრივად დაიწყო გაზეთებიდან კვირეული ცნობების მიმოხილვა და ამხანაგებს გაეცნო ყველა ღირსშესანიშნავი მოვლენები, რომელსაც ადგილი ქონდა ამ ერთი კვირის განმავლობაში.

გაირჩა სხვა წვრილმანი და საყურადღებო საკითხები, რის შემდეგ კრება ინტერნაციონალის სიმღერით დაიხურა.

კ. ჩხენკელი.

სანიტარული მდგომარეობა მეორე ლეგიონში.

ჩვენს ლეგიონს აქვს დივიზიის სკოლასთან წითელ არმიელთა სასადილო.

შეხვალთ თუ არა შიგ საშინელი სიბუნძურის სუნი სდგას. სასადილო არ სუფთავდება. ამ უკანასკნელ ხანებში კი პირდაპირ შეუძლებელია იქ სადილობა. ბევრი წითელ არმიელები მიიღებენ თუ არა სადილს გამოდიან გარედ, მიჯდებიან სადმე კუთხეში და ისე სადილობენ.

შემთხვევით შევიარე აღნიშნულ სახადილოში 14 ოქტომბერს და შემდეგი სურათის მოწამე გავხდი: წითელ არმიელები ფეხზე იდგენ მაგიდებთან და ისე შეექცეოდენ სადილს. იქვე კუთხეში მიყრილი იყო „სკამეიკები“ საშინლად დასვრილი. მაგიდა ძლიერ ჭუჭყიანი და მოწუმპული იყო, აუარება ძვლებით და პურის ნამტვრევებით სავსე.

ნუ თუ დასაშვებია ასეთი უყურადღებობა?! დიდი საქმე არ არის სასადილოს დასუფთავება.

წითელ არმიელების ასეთ პირობებში სადილობა დაუშვებელია. მიაქციეთ ყურადღება ვისაც ეს გეხებათ.

ჩვენს ლეგიონს აგრეთვე აქვს საპირფარეშო, მაგრამ მოთავსებულია მეტად ცუდ ადგილას (ფეხის ადგილთან) რის გამო საშინელ უსუფთაობას აქვს ადგილი.

საჭიროა ამასაც მიექცეს ყურადღება და საპირფარეშოსათვის გამოიძებნოს სათანადო ბინა.

სამხკორი ლომაძე.

პასუხად ამხ. ეძიბუცუნს.

პირველი დივიზიის ცალკე მესანგრეთა ასეულის შტაბში ხუთი თვეა, რაც ვმსახურებ უბრალო თანამშრომლად.

ამ ხნის განმავლობაში-ვერ ნახავთ ერთ ვინმეს, რომ ჩემში რაიმე უწესრიგობა დაენახოს ან ერთი საწყენი სიტყვა მეთქვას ვინმესთვის. ვიყავი უბრალო გადამწერის თანამდებობაზე, მხოლოდ ეს ერთი თვე იქნება, რაც საქმის მწარმოებლად დამნიშნეს.

ყველასთან ძმური, მეგობრული და კეთილ-ამხანაგური განწყობილება მქონდა, მაგრამ, როდესაც ზემო აღნიშნულ თანამდებობაზე დამნიშნეს ბევრს რაღაც არ ესიამოვნა. ჩემი დავალებანი სამსახურის საქმეებზე სრულიად არაფრად არ მიაჩნიათ და სწორედ ამიტომ არის, რომ ცოტა ხმამაღლა მიხდება ლაპარაკი.

რაც შეეხება ამხ. ეძიბუცუნის წერილში აღნიშნულ ცნობას, რომ თითქოს მე მუშტებით ვამტვრევდე მაგიდებს სიმართლეს არ შეიცავს.

კეთილი ინებეთ, მობრძანდით და დაათვალიერეთ თუ ან რაიმე დამიმტვრევია და ან ქაღალდები არეული მაქვს.

მურალოვი.

≡ მეცნიერება და ტექნიკა ≡

ხისგან დამზადებული მილები.

ზოგიერთ ჩვენი სოფლების უზრუნველყოფა სასმელი წყლით მეტად მწვავე ხასიათს ღებულობს, როგორც ამას გვიჩვენებს საშეფო კომისიების ანგარიშები და მოხსენებები. ყველამ კარგად იცის, თუ ზოგიერთი ჩვენი ქვეყნის სოფლები სრულიად მოწყვეტილი არიან სასმელი წყლისაგან და ერთი-ორი დღის სავალი მანძილიდან უხდებათ მისი ზიდვა.

საშეფო კომისიების ცდა იმის შესახებ, რომ სოფლებში მოეწყოთ წყალსადენი, სისრულეში ვერ იქნა მოყვანილი, რადგან მასალა, რომელიც საჭიროა ამ საქმისათვის მეტად ძვირი ჯდება და მისი წელი ძნელად თუ რომელიმე სოფელს და მის შეფს ექნება.

სწორედ ამის გამო დროულად უნდა ჩაითვალოს ინჟენერ ფელდმანის წერილი, რომელიც მიუთითებს ყურადღება მიაქციონ ხისაგან წყალსადენის მილების დამზადებას.

ხსენებული ინჟენერი აღნიშნავს, რომ ამერიკაში, სადაც სრულიად არ არის წყალსადენისათვის ლითონისაგან დამზადებული მილების ნაკლებობა, არსებობს რამდენიმე ქარხანა, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ ამზადებენ ხის მილებს, რომლებიც ისეთი გამძლეა და მაგარი გამოდის, რომ 50-100 წლამდე სძლებს.

ხის მილებს ქლენთავენ ზეთით ან სხვა რაიმე ნივთიერებით და ამნაირად ეძლევათ დიდი გამძლეობის თვისება.

იმ დროს, როდესაც რკინის მილების შინა ზედაპირი ჟანგით იფარება, თანდათან ვიწროვდება და ხელს უშლის წყლის მიმდინარეობას, ხისაგან დამზადებული მილები, პირიქით შიგნით იფარება ლორწოვანი გარსით და ხელს უწყობს წყლის უფრო ჩქარ მიმდინარეობას.

ამ მდინარეების სიჩქარე წყლის მილებში 30-40 პროცენტით უფრო დიდია, ვიდრე რკინის მილებში.

ხის მილების ღირებულება საზღვარ გარედ 30 პროცენტით უფრო ნაკლებია რკინა-ბეტონის მილებზე და 100 პროცენტით ნაკლები თუჯის მილებზე. ხის მილები უფრო მსუბუქია თუჯის და 4 ჯერ კი რკინა ბეტონისაზე.

აქედან კი ხის მილების შეძენა და გადმოტანა 300 პროცენტით უფრო იაფი ჯდება, ვიდრე ჩუგუნისა და სხვა.

თუ მხედველობაში იქნება მიღებული ხის მილების სიაფე და მათი გამძლეობა, რომლებიც შეიძლება დამზადებული იქნენ ჩვენში არსებულ სხვა და სხვა ჯიშის ხეებისაგან, მაშინ ჩვენ შიდაც შეიძლებოდა მოეხდინათ ცდა ასეთი მილების დამზადებაში, რაც აუცილებლად ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ ადგილების წყლით მომარაგების საქმეს.

მიწის ძვრა და მისი გამომწვევი მიზეზები

II.

გუშინწინდელ წერილში ჩვენ დავასახელეთ მიწის ძვრის გამომწვევი მთავარი მიზეზები: ცეცხლი და წყალი. ეხლა აღვნიშნოთ დანარჩენებიც. რამოდენიმე ათეულ და ასეულ საჟენზე მიწის სიღრმეში ჩნდება სიღრუე. ეს სიღრუე გაჩნდება ხოლმე მიწის ზედაპირის ერთი რომელიმე ნაწილის დაქანებით. ჩვეულებრივად ეს ნაწილობრივი დაქანება ხდება სოლისებურად მიწის ცენტრის ანუ შუაგულისაკენ. დაქანების დროს ამ სოლისებური ნაწილის ქვემო ფენა მოწყდება ზემო ფენას, დაიწევს დაბლა და ამ რიგად დაშორდება მას. ამ ფენებს შორის ჩნდება პირველად ზევიდან ჩანაჟური წყალი. წყალი აქ თანდათან გროვდება, ხსნის სხვა და სხვა ნივთიერებას, მაგალითად კირნარს, მარილნარევ ფენებს და იფართოვებს თავის სამოქმედო რაიონს.

წყალი თანდათან იქცევა ტბად და ხშირად, თუ გარშემო მიწის ისეთი შემადგენლობა ახლავს, რომ შეიძლება მისი გახსნა და გადნობა, ის გაითავისუფლებს გზას და გადაიქცევა მოძრავ მდინარედ. ამ რიგად მიწის სიღრმეში გაჩენილი პატარა სიღრუე თანდათან იზრდება როგორც სიგრძეზე და განზე, ისე სიმაღლეზე. ხშირად ეს წყალქვეშა ორმოები იმდენად დიდია, რომ მათი სივრცე აღწევს რამოდენიმე კვადრატიულ ვერსს და სიმაღლე—40-50 საჟენს.

ამერიკაში ასეთ უჩინარ ორმოში არის უზარმაზარი ჩაქუხი, რომელსაც რამოდენიმე საჟენი სიმაღლე აქვს.

ხშირად ამ ორმოების თავანი მოლბება, ვერ გაუძლებს თავის სიმძიმეს, მოწყდება ზემო ნაწილს და ჩაშვავდება.

ჩაშვავება გამოიწვევს ზედაპირზე ნელ მიწის ძვრას. თუ ორმოს ძალიან ფართო სივრცე უჭირავს, მთელი ორმოს ზედაპირი ჩაშვავდება და თან ჩაიტანს ქალაქსა და სოფელს, თუ ასეთები გაშენებული არიან ასეთ ადგილებზე. ასეთი მიზეზებით გამოწვეული მიწის ძვრა შორ მანძილზე არ ვრცელდება. მას ადგილობრივი ხასიათი აქვს. შორ მანძილზე ვრცელდება ცეცხლის მფრქვევი მთების მოქმედებით გამოწვეული მიწის ძვრა. ყველაზე უფრო ძლიერი მიწის ძვრა ხდება მაშინ, თუ მთამ ჩქარა არ ამოხეთქა და გაგრძელდა სიღრმეში ცეცხლისა და ორთქლის ბრძოლა. ადამიანს შიშის ზარს სცემდა თავიდან ეს საშინელი სტიქიური მოვლენა: ძველად, როცა ცრუმორწმუნოებას მაგრა ჰქონდა გადგმული ფესვები გაუნათლებელ ხალხში და არ იცოდენ მისი წარმოშობის მიზეზები, ამ მოვლენას ხან „ღვთის განგებად“ სთვლიდენ, ხან ეშმაკისა და გველეშაპის საქმედ. დიდი უბედურება ახსოვს კაცობრიობას მიწის ძვრისაგან.

მაგალითად ლისაბონის (პორტუგალიის დედაქალაქი) მიწის ძვრის დროს სრულიად განადგურდა ეს ქალაქი.

ეს მოხდა 1755 წელს. როცა მიწამ იწყო ნძრევა, შეშინებული მოსახლეობა ზღვის ნაპირს მიაწყდა. ზღვამ უცებ უკან დაიხია რამოდენიმე ასეული საჟენით და ყალყზე დადგა. მაგრამ მალე ბობოქარი ტალღები მოასკდა ნაპირებს, გადმოხეთქა და 6 წუთში სრულიად გაანადგურა ქალაქი, დაიღუპა 60 ათასი კაცი. ეს მიწის ძვრა 34 ნახ. მილიონ კვადრატ ვერსზე გავრცელდა. ამ დროსვე განადგურდა მაროკოში (აფრიკაში) საუცხოვოდ გაშენებული სოფელი, რომელიც ერთბაშათ შთანთქა უფსკრულმა. აქ დაიღუპა 10.000 კაცი. 1692 წელს იამაიკაში (ამერიკაში) მიწის ძვრისაგან გაიბზარა მიწა მრავალ ადგილას. აუარება ხალხი დაიტანა მიწამ ამ ნაბზარებში.

უცნაური იყო ეს მიწის ძვრა: ხალხს ხაფანგივით იჭერდა ნაბზარები: ზოგი წელამდი ვარდებოდა შიგ, ზოგს მარტო თავი მოუჩანდა მიწიდან და შიშისაგან შეშლილები ამაოდ ითხოვდენ შველას.

№

ამბები სოფლებიდან

სამაგალითო მილიციელი.

ქუთაისის აღმასკომმა დაასაჩუქრა მილიციის თანამშრომელი ალექსანდრე წიქორიძე, რომელმაც დიდი ენერგია გამოიჩინა და დაუზარებლათ იმუშავა გზების გაფართოებისა და ელექტრონის გაყვანის საქმეში.

ავანტიურისტების მსხვერპლი.

უკანასკნელ მენშევიკურ-ავანტიურისტული გამოსვლების დროს დაღუპულ, ვანის რაიაღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ალ. კოღუაშვილის ოჯახს მიეცა ერთდროული დახმარების სახით 150 მანეთი.

მასწავლებლების სიმცირე.

ქუთაისის სამაზრო აღმასკომმა გადასწყვიტა, მასწავლებლების სიმცირის გამო, განაგრძოს მასწავლებელთა მიღება სამსახურში, რისთვისაც დაინიშნა გამოცდილ მასწავლებელთა მიმღები კომისია.

კინო-თეატრის შეკეთება ქუთაისში.

ქუთაისის აღმასკომმა გადასწყვიტა შეუდგეს კინო „რადიუმის“ საზამთრო შენობის შეკეთებას, რისთვისაც გადასდო 681 მანეთი.

ახალი ამბები.

— **სამხედრო კოოპერაცია ა. კავკასიაში.** „ევკოგრუზი“ს გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ი. ებრალიძე, რომელიც ამჟამად მოსკოვში იმყოფება, დეპეშით იტყობინება შემდეგს: „დღეს, 16 ოქტომბერს, ხელმოწერილ იქნა ს. ს. რ. კ. რევსახსაბჭოს ბრძანება ამიერ კავკასიაში სამხედრო კოოპერაციის დატოვების შესახებ.

— **დახმარება სამხედრო ნაწილს** ქუთაისში მდგარ ნაწილს № პოლკს ადგილობრივმა აღმასკომმა გადასცა 70 მ. პოლიტგანათლების საქმის საჭიროებისათვის.

— **მუშა—მსახიობის იუბილე.** 18 ოქტომბერს, ჩოდრიშვილის სახელობის კლუბში გაიმართება მუშამსახიობის იაკობ ხოჯაევის 20 წლის სასცენო მოღვაწეობის იუბილე.

— **ლენინგრადის პროლეტარიატის დასახმარებლათ.** დღეს საღამოს მუშათა განათლების სახლში გაიმართება დიდი კონცერტი ლენინგრადში წყალდიდობისაგან დაზარალებულ პროლეტარიატის სასარგებლოთ. კონცერტში მონაწილეობენ ტფილისის საუკეთესო ძალები. შესასვლელი ფასი ღირს 20 30 კაპ.

— **წყლის მოწოდება.** სექტემბრის განმავლობაში ავჭალის წყალსადენმა მიაწოდა ქალაქს 38.726 ათასი ვედრო წყალი.

ჩვენი ფოსტა

ამხ. რომას. თქვენი წერილი „ქართულ ჯარის კაცის და წითელ არმიელის შედარება“ არ გავა.

ამხ. დამსწრეს. წერილი „მადლობის ღირსია“ არ დაიბეჭდება. მოგვაწოდეთ სხვა შინაარსის წერილები.

ამხ. დ. კიკვაძეს. თქვენი საპასუხო წერილი „დიახ მართლაც არ გავა“. ამის გარშემო ჩვენ წერილებს აღარ გაუშვებთ.

დავკარგე პირველ უბნის კომისარიატიდან გაცემული პირადობის მოწმობა დავით გრიგოლისძე თენიეშვილის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად.

დავკარგე მოწმობა ა. კ. კ. სამხედრო სკოლის ორგანიზაციის მიერ გაცემული მოწმობა №16640 ბაგრატ იონას-ძე გაბუნიის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად.

ნ. ფ. ს. ც ტირაჟი 2.000 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი—შ. ჩუახიძე